ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

14 (9905) • 11 apili • 2011 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

შემოვლენ თუ არა ბურები გურიაში?

მარი კოკოევი

შარშან შემოდგომიდან საზოგადოებაში გავრცელდა აზრი, რომ საქართველოს ხელისუფლება სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით, ქვეყანაში აფრიკელი ფერმერების, კერძოდ ჰოლანდიური წარმოშობის ბურების ჩამოყვანას გეგმავს.

მათი თქმით, ბურებს ყველაზე უფრო შირაქის ველი, სართიჭალა და კოლხეთის დაბლობი მოსწონთ, სადაც მათ ინვესტიციების დაბანდებას და საკუთარი მეურნეობის გადმოტანას სთავაზობენ. საქართველოში იყვნენ ბურების წარმომადგენლები, რომლებსაც საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი და მთავრობის სხვა წარმომადგენლები შეხვდნენ.

ჩვენი ინფორმაციით, ბურები გასულ კვირას გურიასაც სტუმრობდნენ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გია ტაკიძემ და გამგებლის მოადგილემ სოფლის მეურნეობის დარგში ლაშა ღლონტმა „ალიონთან“ საუბრისას დაადასტურეს, რომ უცხოელმა ფერმერებმა შავიზღვისპირა ტერიტორია, კერძოდ კი წვერმაღალის მიდამოები დაათვალიერეს. უცხოელ ფერმერებს მეგზურობას საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმომადგენელი გოჩა ჩადუნელი უწევდა. მათ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან ერთად საქართველოს პარლამენტის წევრი გოჩა შანიძე შეხვდა.

გვ-2

„სასურველია გლეხები ორმოსავლიანობაზე გადავიდნენ“

ნუგზარ ასათიანი

წელს საქართველოში „ჰიბრიდი ჯიშის სიმინდის ხელმეშეწყობი პროგრამა“ ამოქმედდა. მართალია ხელისუფლება ამ ჯიშის სიმინდის მაღალ ხარისხზე ლაპარაკობს, მაგრამ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ ეს პროგრამა გლეხებზე კი არა, მსხვილ ფერმერებზეა გათვლილი. მაღალი ფასებისა და არასათანადო პირობების გამო, ოზურგეთელთა უმრავლესობა ამ პროგრამაში არ მონაწილეობს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის სამსახურები შეხვედრებს მართავენ სოფლებში ფერმერებთან. გასულ ოთხშაბათს ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა სოფ. შემოქმედში გაიმართა.

ამ შეხვედრაზე ოზურგეთი-შემოქმედის მიკროავტობუსით გავემგზავრე. შეკითხვაზე, ემზადებოდნენ თუ არა საყანე ფართობების დასათესად, შემოქმედლებმა მიპასუხეს:

—ყანობამდე ვერ მივაღწევთ, ამ კოლექტიური მრიცხველების გადამკიდე, მეზობლებმა ლამის დავხოცოთ ერთმანეთი.

ერთ-ერთმა ქალბატონმა (ვინაობის გამხელა არ ისურვა) თქვა: —მოგვცენ საწვავი, ტექნიკა, სასუქი და დავთესავთ ყანებს...

გვ-2

9 აპრილის ექო

ნუგზარ ასათიანი

22 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 1989 წლის 9 აპრილს ქართველი პატრიოტების სისხლი დაიღვარა რუსთაველის გამზირზე. რუსმა სამხედროებმა ორლესური ნიჩბებით აჩეხეს ქართველი გოგო-ბიჭები. დაღუპულთა შორის იყო ლიხაურელი სტუდენტი ნინო თოიძე.

9 აპრილს მოჰყვა ეროვნული სულის აღზევება და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გაძლიერება, რასაც დამოუკიდებელი არჩევნები და 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მოჰყვა.

ნინო თოიძის საფლავს ათასობით ადამიანი სტუმრობდა. საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II 9 აპრილს დაღუპულთა ყველა საფლავი მოინახულა. საგანგებოდ ჩამოვიდა ლიხაურშიც.

საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა ნინო თოიძის საზოგადოება(თავმჯდომარე ზ. ვაშაყმაძე). ამ საზოგადოებამ სპეციალური კონკურსი გამართა 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალის ასაგებად, სადაც მხატვარ ვახტანგ მამეშვილის პროექტმა გაიმარჯვა. როგორც ამ სოფლის მაჟორიტარმა დეპუტატმა თამაზ სალუქვაძემ შაბათს ნინო თოიძის საფლავზე თქვა, ეს მემორიალი, დაგვიანებით, მაგრამ მაინც აიგება სოფ. ლიხაურში.

9 აპრილის გმირის საფლავი გვირგვინებით შეამკეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოების წარმომადგენლებმა, სკოლის მოსწავლეებმა.

ნინოს პედაგოგმა მალვინა თოიძემ გაიხსენა როგორი კარგი მოსწავლე და სამშობლოსათვის გულანთებული პიროვნება იყო ნინო, ხოლო დამ—ქეთევან თოიძემ ნინოს დაღუპვის ეპიზოდი გაიხსენა, როცა ჩვენი ჩრდილოეთელი „ძმების“ მიერ დაგეშილი სამხედროები დაერივნენ უიარაღო გოგო-ბიჭებს, როგორ გაურბოდნენ ისინი „სპეცნაზელებს“ და როცა ნინო თოიძის მეგობარი აზა ადამია წაიქცა, ნინო მის მისაშველებლად შეჩერდა და მეგობრის ბედი გაიზიარა. ქეთევანის თქმით, ნინოს ძალიან უყვარდა სამშობლო და სვეროდა მისი დამოუკიდებლობის მიღწევის.

ქ. ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის პედაგოგმა ნანი სალუქვაძემ სადამრიგებლო კლასის მოსწავლეები აიყვანა

საფლავზე. მომავლის ქართველებმა: გუგამ, ანუკამ, ქეთომ, აკაკიმ, თადუკამ, შაკომ, თაკომ, მიშიკომ, მიშომ სპეციალური მონტაჟი წარმოადგინეს.

21 წელია რაც აღდგა წირვა-ლოცვა ღვთისმშობლის სახელობის ლიხაურის ტაძარში. ბევრი რამ შეიცვალა მას შემდეგ, მაგრამ კვლავ თავს გვახსენებს 9 აპრილი, რომ ჯერ ბრძოლა არ დამთავრებულა. საქართველოს ტერიტორიის მეხუთედს, კვლავ ის ქვეყანა აკონტროლებს, რომლის ჯარისკაცებმაც 9 აპრილს 21 ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს, საიდანაც 16 ქალი იყო. ქართველ ხალხში ეროვნული სულისკვეთება კვლავ უნდა აღზევდეს.

„მათ მიერ დაწყებულ საქმეს აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე“

ნინო ნიკოლაიშვილი

პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი დემოკრატების“ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა სოფ.. ლიხაურში ყვავილების გვირგვინით შეამკეს 9 აპრილს დაღუპული ნინო თოიძის საფლავი. ღვთისმშობლის სახელობის ლიხაურის ეკლესიაში სანთლები დაანთეს ამ დღეს გარდაცვლილი ჩვენი თანამემამულეებისათვის.

გია ცქვიტინიძე, პ/გ „თავისუფალი დემოკრატების“ გამგეობის წევრი: —„ჩვენი პარტიის დაფუძნების დღიდან, უკვე მეორედ მოვდივართ ლიხაურში ნინო თოიძის საფლავთან. ყველა ქართველის ვალია, პატივი მიაგოს იმ გმირებს, ვინც ჩვენი ქვეყნისათვის დაიღუპა. საქართველომ დამოუკიდებლობას მიაღწია. მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს კვლავ მძიმე მდგომარეობაში იმყოფება ჩვენი ქვეყანა, დაკარგულია ტერიტორიები, იზღუდება სიტყვის თავისუფლება, არ არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო...

ჩვენ იმ ბრძოლის ავანგარდში ჩავდგებით, რისთვისაც ჩვენი თანამემამულენი დაიღუპნენ და მათ მიერ დაწყებულ საქმეს აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე“.

ზაზა ცინცაძე, „თავისუფალი დემოკრატების“ ახალგაზრდული ფრთის ხელმძღვანელი; —„9 აპრილს დაღუღული ადამიანები ჩვენი ქვეყნის ისტორიაში შევიდნენ, როგორც გმირები. მათ დაგვანახვეს, როგორ შეიძლება თავგანწირვა ენის, მამულის სარწმუნოებისათვის“.

სმოლენსკის ტრაგედიიდან ერთი წელი გავიდა

გუშინ, 10 აპრილს, სმოლენსკში მომხდარი ავიაკატასტროფიდან, რასაც პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი ემსხვერპა, ერთი წელი გავიდა.

2010 წლის 10 აპრილს, პრეზიდენტის კუთვნილი "ტუ-154"-ის ტიპის თვითმფრინავი სმოლენსკის "სევერნის" აეროდრომთან ჩამოვარდა, რომლის დროსაც 96 ადამიანი, მათ შორის პირველი ლედი მარია კაჩინსკა და პოლონური პოლიტიკური ელიტის ნაწილი.

საერთაშორისო საავიაციო კომიტეტის ანგარიშის მიხედვით, რომელიც პოლონეთის პრეზიდენტის თვითმფრინავის ავიაკატასტროფის მიზეზების დადგენას ეხებოდა - ავიაკატასტროფის მიზეზი ეკიპაჟის მოქმედება იყო.

მიუხედავად ამის, პოლონეთის კომისიამ სმოლენსკთან მომხდარი კატასტროფის მიზეზების თავისი ვერსია გამოაქვეყნა, სადაც ექსპერტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ეკიპაჟის წევრებმა შეცდომები რუსი დისპეჩერების ბრძანებების გამო დაუშვეს.

ხელისუფლება ადგილობრივ მედია საშუალებებს ცრუ ინფორმაციების გავრცელებაში ადანაშაულებს

–ბოლო პერიოდში ოზურგეთის მედია საშუალებით ვრცელდება ინფორმაცია ჩვენი პოლიტიკური ოპონენტების ხელშეწყობით, რომელიც რეალობის არასწორი ასახვა და ფაქტების შეგნებით დამახინჯებაა. საკმაო ხანს ვდუმდით ამასთან დაკავშირებით, რადგან ვთვლიდით, რომ არ შეიძლება ნებისმიერ კინკლაობას მმართველი პარტია უნდა გამოეეცნოს, მაგრამ დადგა დრო, როცა „ლუმილი ნამდვილად არ არის ოქრო“–განაცხადა საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის თავმჯდომარე თემურ მოქიამ. მან ჩამოთვალა ის თემები, რომელიც მისი აზრით, ადგილობრივ მედია საშუალებებში არასწორად გაშუქდა. ეს თემებია: ბიუჯეტის ფორმირება, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, ამერიკული სიმინდის გურიაში შემოტანა.

თემურ მოქიამ იმ პროექტებზეც ისაუბრა, რომლებიც მისი თქმით ოზურგეთში წარმატებით განხორციელდა. ადგილობრივი ხელისუფლების მნიშვნელოვან მიღწევად საგრანტო პროგრამის შემოტანა და მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან საზოგადოებრივი დარბაზის შექმნა დასახელა.

ნაციონალების ფრაქციის თავმჯდომარეს კონკრეტული მედია საშუალებები არ დაუსახელებია.

ბავშვთა საკითხების გაშუქება მედიაში

თეონა ჩხარტიშვილი

8 აპრილს, ოზურგეთში, არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ დარბაზში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე–ბავშვთა საკითხების გაშუქება მედიაში. ღონისძიებას უძღვებოდნენ სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე ია ანთაძე, გაეროს ბავშთა ფონდის კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელი მაია ქურციკიძე, ექსპერტები –ნინია კაკაბაზე, გოგი გვახარია. შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების, რამდენიმე საჯარო სკოლის წარმომადგენლები.

მრგვალი მაგიდის გამართვის მიზანი იყო, თუ როგორ უნდა მოხდეს ბავშვთა უფლებების დაცვა ჟურნალისტთა პროფესიული განვითარების და საზოგადოებრივი ცხოვრების ამაღლების გზით. გაიმართა დისკუსია, თუ რა პრობლემებია დღესდღეისობით ქართულ მედიაში ბავშვთა საკითხების გაშუქების კუთხით.

როგორც ქალბატონმა ია ანთაძემ აღნიშნა, ტელევიზიით ხშირად გადმოსცემენ ისეთ სიუჟეტებს, სადაც დარღვეულია ბავშვთა უფლებები. კერძოდ, საჯაროდ ხდება ისეთი ბავშვების ინდენტიფიცირება, რომელთაც აქვთ დარღვევები კანონის კუთხით. ამ შემთხვევაში მედიის წარმომადგენლები არ ფიქრობენ, რომ ყოველივე ეს შეიძლება ცუდად აისახოს მათ სამომავლო ცხოვრებაზე. შესაბამისად, უმეტეს წილად ისინი მხოლოდ სკანდალებზე და სენსაციებზე არიან ორიენტირებული. აქვე მან გაიხსენა ერთ-ერთ ნაციონალურ არხზე გაშუქებული სიუჟეტი, რომელიც ეხებოდა სოფ. მისაქციელში მომხდარ ტრაგედიას. ქალბატონი იას თქმით, ჟურნალისტმა აღნიშნული მასალა ზედაპირულად. სენსაციური კუთხით გაშუქა, თუ როგორ მოკლა დედამ შვილი. აქ არ იყო დასმული კითხვა, თუ რამ მიიყვანა იგი ამ მდგომარეობამდე. როგორც მან თქვა, ჟურნალისტს ყურადღება უნდა გაემახვილებინა გარშემომყოფების გულგრილობაზე, რომლებსაც არაფერი უღონიათ, რომ ტრაგედია არ დატრიალებულიყო.

ნინია კაკაბაძის აზრით, კი მედიის წარმომადგენლები „სერის მონადირეებად“ იქცნენ, რაც შესამჩნევია საინფორმაციო ბლოკებში.

გოგი გვახარიამ აღნიშნა, რომ, როცა ჟურნალისტი ბავშვის თემაზე მუშაობს, უნდა გაითვალისწინოს ყველას აზრი, ეს იქნება პედაგოგი, ფსიქოლოგი, მშობელი თუ თვითონ ბავშვი. შესაბამისად ისე უნდა გააშუქოს სიუჟეტი ან გამოაქვეყნოს პრესაში, რომ არ მოხდეს მათი უფლებების დარღვევა სხვადასხვა ფორმით. მან თქვა ისიც, რომ დღესდღეისობით ზოგადად მედია ცდილობს გვერდი აუაროს რეალურ მოვლენებს და საზოგადოებას შენიღბულად სთავაზობს ყველაფერს.

შეხვედრის ბოლოს იყო ინტერესი, თუ რა მდგომარეობაა ამ კუთხით ჩვენს ქალაქში. კერძოდ, როცა საკითხი ბავშვთა თემას ეხება და რამდენად სწორად ხდება მათი გაშუქება ადგილობრივი ტელევიზიით და პრესის მეშვეობით.

ადგილობრივმა ჟურნალისტებმა განაცხადეს, რომ მათ ხშირად უწევთ მუშაობა აღნიშნულ საკითხზე და ყოველთვის ცდილობენ ისე გააშუქონ მოვლენები, რომ არ შეილახოს მათი უფლებები.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი სხვადასხვა პროექტის ფარგლებში ეხმარებიან როგორც შეჭირვებული, ასევე ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვებს. მაგრამ არასდროს არ მოუხდენიათ საჯაროდ მათი ინდენტიფიკაცია.

„სასურველია გლეხები ორმოსავლიანობაზე გადავიდნენ“

სოფ. შემოქმედის ადმინისტრაციულ შენობაში 20-მდე ფერმერი იყო შეკრებილი. მათ უმრავლესობას გარკვეული წარმატებები აქვთ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

შეხვედრას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ლაშა ღლონტი და აიპ „სოფლის მეურნეობის განვითარების და დასაქმების ხელშეწყობი ცენტრის“ დირექტორი გიგა ხარაბაძე უძღვებოდნენ. ისინი ჰიბრიდი სიმინდის გარშემო მოვლით ღონისძიებებს აცნობდნენ დამსწრეებს. როგორც ლაშა ღლონტმა თქვა, იმდენად დიდი იყო მოთხოვნა ამ სიმინდის თესლზე, რომ ამჟამად მხოლოდ ისინი დაკმაყოფილდებიან, რომლებმაც დროულად შეიტანეს განცხადებები, (ამ „ბევრში“ რომ საჯარო მოხელეებიც შედიან, ამაზე არაფერი უთქვამს), ან **რატომ ვერ უნდა შეძლოს გლეხმა წლის განმავლობაში 200 ლარს მოუყაროს თავი, რომ გაზაფხულზე ხვნა-თესვა შეძლოს.**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რწმუნებულმა სოფ. შემოქმედში ბესო ლომინაძემ მოიყვანა წინა წლის მაგალითი, რომ ხვატარმა ძირითადად ის ფართობები დაზიანა, რომლებიც გვიან დაითესა. ამიტომ, მან ფერმერებს სიმინდის დათესვა დროულად ურჩია.

გიგა ხარაბაძის აზრით, ზაფხულში ზღვისპირეთში დიდი მოთხოვნილებაა ჭყინტ სიმინდზე, სასურველია გადავიდნენ ორმოსავლიანობაზე, რომ გლეხმა მეტი შემოსავალი მიიღოს კონკრეტული ფართობიდან. მაგ. ჰიბრიდი სიმინდი ადრე მოდის, შემდეგ შესაძლებელია ბოსტნეულის დათესვა, რომელსაც გაზაფხულზე აიღებენ.

ლაშა ღლონტის თქმით, მსოფლიოში მოსახლეობა სწრაფი ტემპით მატულობს, დღის წესრიგში დგება მათი გამოკვების საკითხი, რის რესურსიც დედამიწას აღარ აქვს. **სოფლის მოსახლეობამ სასურველ შედეგს რომ მიაღწიოს, დღე-ღამეში 14 საათი უნდა იმუშაოს, როგორც ამას განვითარებულ ქვეყნის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულნი აკეთებენ. თუ ბვირალირებულ თესლს არ იყიდიან, უხვ მოსავალს ვერ მიიღებენ.**

გიგა ხარაბაძის აზრით, უნდა გაფართოვდეს სოფლის მეურნეობის კულტურების არეალი, ქართული ბაზარი ირანული და თურქული მდარე ხარისხის პროდუქციითაა გაჯერებული, რაც ქართული პროდუქციით უნდა ჩანაცვლდეს. მან მოიყვანა მაგალითი, თუ როგორი დიდი მოთხოვნილება იყო ბიზნესმენ ბეგი სირორიძის სასათბურე მეურნეობაში მოყვანილ კიტრზე, რომლის ერთი კილოგრამი 14 ლარად იყიდებოდა.

გურული ვაზის ჯიშების აღდგენაზე ისაუბრა მევენახე ანდრო ვაშალომიძემ. ამისთვის მას საკოლექციო ნაკვეთის შექმნა სურს. ჯერ-ჯერობით არ მოხერხდა მისთვის ნაკვეთის გამოყოფა. იგი წელს, შემოდგომაზე დაინტერესებულ ფერმერებს ვაზის ნერგებს გადასცემს.

სტუმრებმა შემოქმედლებს ფერმერის დღიური და სხვა საინტერესო რჩევების ბუკლეტები გადასცეს.

„ხელისუფლების მიერ განხორციელებული თითქმის ყველა რეფორმა უშედეგოა“

მარი კოკოევი

„ქართული პარტიის“ ლიდერები სოზარ სუბარი და ეროსი კიწმარიშვილი ოზურგეთს გასულ კვირას სტუმრობდნენ. ოზურგეთის ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ დარბაზში ისინი პარტიის აქტივს და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ.

პარტიის ლიდერებმა სამომავლო გეგმებზე, ქვეყანაში შექმნილ, მათივე თქმით, მძიმე მდგომარეობაზე და გამოსავლის ძიების გზებზე ისაუბრეს. აღნიშნეს, რომ დღევანდელი ხელისუფლების „დამსახურებით,“ ქვეყანა ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რის გამოც საზოგადოებაში სრული უიმედობის გრძნობაა. ისაუბრეს იმ სფეროებზე, რომელიც მათი აზრით, ყველაზე ცუდადაა განვითარებული. მათ შორის განათლება, ჯანდაცვა და სოფლის მეურნეობა დასახელდა. ხელისუფლების მიერ განხორციელებულ, გახმაურებულ რეფორმებს გამომსვლელებმა უშედეგო უწოდეს.

აღნიშნეს, რომ ქვეყანაში სოფლის მეურნეობა ცუდადაა განვითარებული და დაიდო პირობა, რომ „ქართული პარტიის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, მას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა. რაც მთავარია, გაუქმდება მიწის გადასახადი.

„ქართული პარტიის“ ლიდერები ხელისუფლებას უუნარობაში ადანაშაულებენ და მათ შეცვლას პარტიის უპირველეს ამოცანად მიიჩნევენ.

სოზარ სუბარი:–„ჩვენ პირობას ვაძლევთ საზოგადოებას, რომ დაწყებულ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ და შევცვლით ხელისუფლებას, არჩევნების გზით იქნება ეს, თუ რევოლუციის.“

პარტიის ლიდერების ხედვებისა და გეგმების საზოგადოებისათვის გაცნობის შემდეგ შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. კითხვები მრავალფეროვანი იყო და მათ შორის ყველაზე აქტუალური სოციალური თემა, მეზობელ რუსეთთან ურთიერთობა და ოკუპირებული ტერიტორიები აღმოჩნდა. სწორედ ამ თემების ირგვლივ დაისვა ყველაზე მეტი შეკითხვა სტუმრების მისამართით.

საზოგადოებას აინტერესებდა რა ნაბიჯები გადაიდგმებოდა „ქართული პარტიის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში აღნიშნული მიმართულებით.

* * *

შეხვედრაზე „ქართული პარტიის“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარედ გოჩა გორდელაძე დასახელდა.

შემოვლენ თუ არა ბურები გურიაში?

<u>ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის ჯერ უცნობია, ხელსაყრელ გარემოდ ჩათვალეს თუ არა სტუმრებმა ჩვენი ტერიტორიები სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, მაგრამ ზუსტად იციან ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობის აზრი გურიაში მათ ჩამოსვლასთან დაკავშირებით. ისინი ჩვენთან საუბარში ამბობენ, რომ ბურებს ადგილობრივი მოსახლეობა უარყოფითად შეხვდა.</u>

გია ტაკიძე: –„მოსახლეობის დამოკიდებულება აფრიკელ ბურ ფერმერების ჩამოსვლასთან დაკავშირებით ნეგატიურია, რადგან წვერმაღალის მცირემიწიან მოსახლეობას არ ჰყოფნით ფართობები, რომლებიც მათ საკუთრებაშია. სურვილი აქვთ, რომ პირველ რიგში მათი დაკმაყოფილება მოხდეს მიწით და დამატებით გამოეყოთ ნაკვეთები. ასევე, აქ არიან მეწყერით დაზარალებული ოჯახები, რომლებსაც სურთ, რომ საკარმიდამო ნაკვეთებად გამოეყოთ აღნიშნული მიწები.“

ლაშა ღლონტი:–„მოსახლეობას არ უნდა ბურების ჩამოსვლა, რის მიზეზად მიწების სიმცირეს ასახელებენ. ისინი ითხოვენ, მათ გამოეყოთ ფართობები. ამბობენ, რომ მიწას ან ოჯარით აიღებენ, ან გამოისყიდიან და საქმესაც ბურებზე ნაკლებად არ გააკეთებენ. <u>მართალია ბურები დაასაქმებენ ქართველებს, მაგრამ ხალხი ამბობს, რაღა უცხოელების მონა ვიყოთ, ჩვენ თვითონ მივხედავთ ყველაფერსო“.</u>

რაც შეეხება თავად გამგებლისა და მისი მოადგილის მოსაზრებებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ისინი ფიქრობენ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მოსახლეობის აზრი უნდა იყოს გათვალისწინებული. ინვესტორის ჩამოსვლას ქვეყანაში დადებით მოვლენად აფასებენ, თუკი ამით არ დაზარალდება ადგილობრივები.

გია ტაკიძე: –„მისასალმებელია ყველა ის პროგრამა, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო. ჩვენ ვეძებთ ინვესტორებს და მათთვის ხელსაყრელ პირობებს ვქმნით, მაგრამ არა ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროების და გაღიზიანების ხარჯზე.“

ლაშა ღლონტი: –„ქართველებს არ გვაქვს იმის უფლება, რომ ტერიტორიები გავცეთ უცხოელებზე. ხალხს ინტერესი აქვს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქცია აწარმოოს, არსებობენ ამისათვის შრომისუნარიანი ადამიანები. მე ვფიქრობ, რომ თურქეთში არ უნდა გარბოდნენ ქართველები სამუშაოდ. ამისათვის საჭიროა დავასაქმოთ ისინი ჩვენს ქვეყანაში, მაგალითად სოფლის მეურნეობის დარგში. იმ ტერიტორიებზე, რომელზეც ვსაუბრობთ, შესაძლებელია სხვადასხვა კულტურის მოყვანა, მაგალითად ციტრუსის. თან ზღვასთან, ტურისტულ ზონასთან არის ახლოს და მოწვეული პროდუქტის გასაღება არ იქნება პრობლემა. ამიტომაც დაინტერესდნენ უცხოელები ამ ადგილით.“

ბურების აღნიშნული ვიზიტი რიგით მეორე იყო გურიაში. მანამდე ისინი წვერმაღალას მოსახლეობას ადგილობრივი ხელისუფლების დაუსწრებლად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, სოფლის მეურნეობის სამინისტროების ხელშეწყობით შეხვდნენ.

რაც შეეხება უცხოელი ფერმერების სამომავლო გეგმებს, ჯერ-ჯერობით უცნობია დაბანდებენ თუ არა ისინი ინვესტიციას ან გეგმავენ თუ არა კიდებ ერთ ვიზიტს ბურები გურიაში. დანამდვილებით ის ვიცით, გურიიდან ისინი სამეგრელოში, უფრო კონკრეტულად წალენჯიხაში გაემგზავრნენ გარემო-პირობების შესასწავლად. ცნობილია, რომ იგივე მიზნით, ბური ფერმერები სრულიად საქართველოს შემოივლიან.

გახსოვდეთ 1937!

მაღალი იდეურობით, მონოლიტური რიგებით, რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერებით და კლასობრივ მტერთა უკანასკნელი ნაშთების მოსპობით გავაჩაღოთ ბრძოლა პარტორგანიზაციის დადგენილებათა ურყევად გატარებისათვის

ამონარიდი საქ. პ (ბ) მახარაძის რაიონის მე-4 პარტიული კონფერენციის საანგარიშო მოხსენებიდან

პარტდოკუმენტების გამოცვლის შედეგად პარტიის რიგებიდან გაირიცხა 11 ფარული ტროცკისტი. კანდიდატად გადაყვანილი იქნა 3, ეს ფაქტი ადასტურებს, რომ პარტდოკუმენტების შემოწმების დროს საკმაოდ ვერ იყო ყურადღება გამახვილებული და პარტდოკუმენტების შემოწმების შედეგად პარტიის რიგებში დაგვრჩა ფარული ტროცკისები, რომლებიც გამომჟღავნებული იქნენ და გაირიცხნენ პარტიიდან პარტდოკუმენტების გამოცვლის დროს.

ნატანების პარტორგანიზაციაში ცუდი მუშაობისა და ბოლშევიკური სიფხიზლის მოდუნების შედეგად პარტიის რიგებში დარჩნენ და შემდეგ გაირიცხა 7 ფარული ტროცკისტი, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ კონტრრევოლუციურ ტროცკისტების იატაკ-ქვეშ მოწყობილ კრებაზე და დღემდე უმალავდნენ პარტიას თავიანთ ბნელ წარსულს.

უკანასკნელად გამოირკვა, რომ სოფ. მელექედურში კონტრრევოლუციურ ტროცკისტებს და მენშევიკებს ქონდათ გაერთიანებული კრება 1929 წელს, რომელზედაც მონაწილეობას ღებულობდა პარტკანდიდატი ტროცკისტი პროკოფი ღლონტი, რომელსაც ადგილობრივი პარტორგანიზაციის სიფხიზლის აშკარად მოდუნების შედეგად პარტიული დოკუმენტები გამოეცვალა, ხოლო შემდეგ გამომჟღავნებული იქნა და გაირიცხა პარტიის რიგებიდან...

ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის დადგენილების მიხედვით პარტდოკუმენტების შემოწმებისა და გამოცვლის შედეგად რაიონის პარტორგანიზაციებში გახშირდა დახურული კრებების მოწყობის პრაქტიკა. სხვა მაგალითებს შორის აღსანიშნავია შემდეგი ფაქტი: კლასობრივი სიფხიზლის გამახვილებასთან ერთად პარტორგანიზაციაში აღსანიშნავია ზოგიერთი ფაქტები სიფხიზლის მოდუნების და ზოგიერთ კომუნისტების კლასობრივი მტრების გავლენის ქვეშ მოქცევისა. ძიმითის კოლმეურნეობაში მენშევიკ ტროცკისტულ ელემენტებმა კოლექტივის თავ-რის ამხ. იოსებ ცინცაძის წინააღმდეგ მოაწყვეს ხელოვნურად შექმნილი სისხლის სამართლის დანაშაულობის ხასიათის საქმე: კოლმეურნეობის საწყობიდან მის დაუკითხავად გაუგზავნეს ზედმეტი სიმინდი, რამდენიმე წუთის შემდეგ ურემი უკან მოაბრუნეს და ხალხში ხმა გაავრცელეს, რომ ცინცაძეს სიმინდი ზედმეტი მიჰქონდა, ე.ი. მოიპარაო. ძიმითის პირველად ორგანიზაციამ ტროცკისტ მენშევიკების ნაძირალების ამ მახინაციას საჭირო წინააღმდეგობა ვერ გაუწია და საჭირო შეიქმნა რაიკომის ჩარევა კლასიური მტრის ნაშთების გამოსამჟღავნებლად, პროკურატურის კვლევა-ძიებამ დაადასტურა ცინცაძის სიმართლე და აგრეთვე დაადასტურა, ეს ფაქტი იყო განზრახ მოწყობილი, სასამართლომ დამნაშავეები შესაფერისად დასაჯა.

ჯუმათის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. დოლიძის წინააღმდეგ წაყენებულ იქნა სისხლის სამართლის დანაშაულის ხასიათის მქონე ბრალდებები. ამხ. დოლიძე 1936 წელს მონაწილეობას ღებულობდა მოსკოვში პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელებთან შეხვედრაში, სადაც ის დაჯილდოვეს შრომის ორდენით, მენშევიკურ ტროცკისტულმა ელემენტებმა განიზრახეს ამხ. დოლიძის გალანძღვა.

ჯუმათის პირველად პარტორგანიზაციამ წინააღმდეგობა ვერ გაუწია კლასობრივი მტრის შემოტევას, პირიქით, ორი სამი პარტწევრი მოექცნენ მტრების პროვოკაციის გავლენის ქვეშ. საჭირო შეიქმნა რაიკომის ჩარევა ამ საქმეში. დადასტურდა, რომ ეს საქმე იყო მენშევიკურ ტროცკისტული პროვოკაციის შედეგი, არც ერთი ბრალდება არ დადასტურდა. რაიკომის ბიურომ დოლიძე სრულიად უდანაშაულოდ ჩათვალა და მის წინააღმდეგ დაწყებული „კამპანია“ კი შეაფასა, როგორც ანტი საბჭოთა ჯგუფის მახინაცია. პარტორგანიცაზიის მდივანი მითაიშვილი მოიხსნა მდივნობიდან სასტიკი საყვედურის და გაფრთხილების გამოცხადებით. საბჭოს თავმჯდომარე კომკავშირელი ჩხარტიშვილი მოიხსნა თანამდებობიდან და გაირიცხა კომკავშირიდან. პარტწევრ ამხ. მექვაბიშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური გაფრთხილებით, რადგანაც თანაუგრძნობდა ამხ. დოლიძის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას. ჯგუფის მონაწილე ფარული ტროცკისტი ტუღუში გაირიცხა პარტიის რიგებიდან. კიდევ შეიძლებოდა კლასობრივი სიფხიზლის მოდუნების ფაქტები დაგვესახელებია.

გაზეთი „ლენინის დროშა,“4 მარტი, 1937 წ. №20.

გახურებული შანთით ამოვწვათ მლიქვნელობა

3 ივნისს ჩატარდა ანასეულის სამეცნიერო საკვლევო ინსტიტუტთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრება.

პარტიულმა კრებამ, რომელიც დიდი აქტივობით ჩატარდა, განიხილა ამხ. ლ. ბერიას მოხსენება საქ. კპ (ბ) მეათე ყრილობაზე და მოხსენების ირგვლივ მიღებული რეზოლუცია.

აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქ. კპ (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანმა ამხ. კილაძემ. მომხსენებლმა კრებაზე დამსწრეთა ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილა მეათე ყრილობის მასალების შესწავლაზე და მისი ცხოვრებაში გატარებაზე. მომხსენებელი ხაზგასმით შეეხო კლასობრივი სიფხიზლის კიდევ უფრო გამახვილების საკითხს. მან აღნიშნა, რომ ანასეულის პარტიულ ორგანიზაციაში ადგილი ჰქონდა სიფხიზლის მოდუნებას, მლიქვნელობას და გულდანდობას, რამაც ხელი შეუწყო სამშობლოს გამყიდველს, ფაშისტური ოხრანკის აგენტს, ტროცკისტ ბობოხიძეს, სევერნიკს და სხვებს ეწარმოებინათ ძირგამომთხრელი, დამარღვეველი მუშაობა.

—მოხერხებულად იფარებდა რა ნიღაბს, გველურ შხამს ანთხევდა, დამარღვეველ მუშაობას აწარმოებდა და დიდხანს ბოგინობდა ანასეულის საგამომკვლევო ინსტიტუტის დირექტორად, გაუსწორებელი ტროცკისტი კონტრრევოლუციონერი ალ. ბობოხიძე.

—ბობოხიძეს ნიღაბი ჩამოგლიჯეს, ცხვრის ქურქი შემოახიეს და პროლეტარიატის მრისხანე სამსჯავროს წინაშე დგას თავისი ბინძური, საზიზღარი, მახინჯი სახით,-აღნიშნავდნენ მოკამათეები.

ვინ იყო ბობოხიძე?

ბობოხიძე აშკარად გამოხატავდა თავის ბინძურ ზრახვებს ჩვენი დიადი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ბობოხიძის მითითებით ტრანშეები გაყვანილი იქნა 7200 ჰექტარზე, რომელიც არ იძლევა იმის ერთმესამედ მოსავალს, რასაც ჩვეულებრივად გაშენებული პლანტაცია მოგვცემდა. ბობოხიძის უშუალო ხელმძღვანელობით, ჩაის პლანტაციების დასამურჩავად შეჰქონდათ ფართობში ხმელი გვიმრა; ფაშიზმის პირწავარდნილ აგენტს ბობოხიძეს განზრახული ჰქონდა პლანტაციების გადაწვა. ბობოხიძის მავნებლობასთან იყო დაკავშირებული ის, რომ არ მუშაობდა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და თავის სხდომებზე არ იხილავდა თემატურ გეგმებს. ტროცკისტი ბობოხიძე ხელს უშლიდა პატიოსან მეცნიერ მუშაკების დაწინაურებას და სხვ.

აი, ის გამცემლური მუშაობა ბობოხიძისა, რომელიც აღნიშნეს პარტიული ორგანიზაციის კრებაზე სიტყვით გამოსულებმა.

იმის ნაცვლად, რომ პარტიულ ორგანიზაციას თავის დროზე შეესწავლა და ფარად აეხადა მისი მახინჯი სახისათვის, ზოგიერთი კომუნისტები მასთან მლიქვნელობდნენ და მისი გავლენის ქვეშ ექცეოდნენ. ანასეულის პარტიული კომიტეტის მდივანი ნ. მექვაბიშვილი თავისი მლიქვნელობით და ბაქიობით იქამდე მივიდა, რომ მოსკოვში მყოფ ფაშისტ ბობოხიძეს გაუგზავნა დეპეშა და ახალი წელი მიულოცა. დეპეშა დაპატიმრების დროს ბობოხიძის პორტფელში აღმოჩნდა. ამხ. მექვაბიშვილს ასეთი საქციელი არსად არ დაუგმია. მექვაბიშვილის საკითხი ცალკე უნდა განვიხილოთ.

რაზე ლაპარაკობენ გამომჟღავნებული ფაქტები? უდავოა მასზე, რომ კლასობრივი მტრის ნაშთები, გესლსა და შხამს ანთხევს იქ, სადაც მოახერხებს, ამიტომ საჭიროა მეტი ბოლშევიკური, შემტევი სიფხიზლე. მლიქვნელობა კი ხელს უწყობს თვითკრიტიკის ჩახშობას და ბოლშევიკური სიფხიზლის მოდუნებას, ხელს უწყობს მტერს აკეთოს თავისი ბინძური საქმე.

მაგრად დავარტყათ მლიქვნელობის ოდნავ გამოვლინებასაც კი.

ნ. ი–ლი

გაზეთი „ლენინის დროშა,“9 ივნისი, 1937 წ. №46.

შინაურულობა უნდა აღიკვეთოს

სოფელ მახარაძის კოლმეურნეობის ბავშვთა ბაღში ადგილი აქვს შინაურულობას. ბაგაში სამუშაოდ კოლმეურნეობის აგროტექნიკოსმა ტულუშმა და კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ბურაკოვმა თავიანთი ცოლები მოაწყვეს, ეს „პატივცემული“ ხელმძღვანელები ბავშთა ბაგას საკუთარ ოჯახად თვლიან.

ბაგაში მომუშავენი უდარდელად და უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ბავშვების მოვლას. ამის შედეგად 12 მაისს, კვერღელიძის ბავშვმა მოიტეხა თითი და ერთი კვირა იავადმყოფა. აგრეთვე ბავშვთა ბაგაში პროდუქტებს მომვლელები ითვისებენ.

შინაურულობას და უპასუხისმგებლობას ბოლო უნდა მოეღოს სოფელ მახარაძის კოლმეურნეობის ბავშვთა ბაგაში.

გაზეთი „ლენინის დროშა,“ 9 ივნისი, 1937წ. №46

მოგესალმებათ გურიის პასქის ფესტივალი - 2011

ძვირფასო მეგობრებო!

ბევრი დიასახლისი განსაკუთრებულად ემზადება აღდგომისათვის. ისინი, გარდა იმისა, რომ აცხობენ სურნელოვან და გემრიელ პასქებსა და ღებავენ კვერცხებს, სახლში აკეთებენ სააღდგომო კომპოზიციებს /რთავენ სუფრას. ამ სილამაზის მხილველები არიან მხოლოდ ახლობლები.

ფეიერვერკი მიტროპოლიტის, მეუფე იოსების ლოცვა-კურთხევით

გთავაზობთ ასეთი კომპოზიციების გამოფენა-გაყიდვას ანუ

„გურიის პასქის ფესტივალს“

მიზანი – კულინარ-დიზაინერთა გამოვლენა და ქველმოქმედება

პირველი ფესტივალი ეძღვნება ოზურგეთში რადიოსადგურის პრეზენტაციას.

გამოფენა-გაყიდვიდან შემოსული ფინანსები მოხმარდება რადიოსადგურის სასტარტო სამუშაოებს და ნაწილობრივ ქველმოქმედებას სოციალურად დაუცველი ადამიანებისათვის

ფესტივალი გაიხსნება აღდგომის ბრწყინვალე კვირის ხუთშაბათს, 28 აპრილს, ქალაქ ოზურგეთში, საკათედრო ტაძრის მიმდებარე პარკში. ნომინაციებზე წარმოდგენილი პასქები და სააღდგომო კომპოზიციები გახდება ფესტივალის საკუთრება, შესაბამისად ყველა ავტორი გახდება საქველმოქმედო აქციის მონაწილე.

კომპოზიციის ავტორებს და კულინარებს გადაეცემათ სიგელები, გამარჯვებულებს – დიპლომები და პრიზები.

ინტელექტუალურ პაექრობაზე

ნინო ნიკოლაიშვილი

გასაცარი აზარტი, „დაუნდობელი“, საინტერესო ინტელექტუალური პაექრობა, ხალისიანი, ემოციურად დამუხტული დარბაზი და... რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ყოველივე ამის ხილვა შესაძლებელი იყო ოზურგეთის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რეაბილიტაციის ცენტრში გამართულ ინტელექტუალურ თამაშზე „რა, სად, როდის“. რომლის იდეა ლანა ლომაძეს ეკუთვნის. ღონისძიებას მისთვის ჩვეული ენერგიით უძღვებოდა კულტურისა და დასვენების პარკის დირექტორი ავთანდილ სირბილაშვილი.

თავდაპირველად პატარების ორი გუნდი შეეჯიბრა ერთმანეთს. „მზის სხივსა“ და „ნიჭიერს“ შორის გამარჯვება „ნიჭიერს“ ხვდა წილად.

რაც შეეხება დიდების გუნდთა ორთაბრძოლას, „ლიდერებსა“ და „ცეცხლს“ შორის გამარჯვებული გახდნენ „ლიდერები“. თავიდანვე ვთქვით ღონისძიების განსაკუთრებულობა. აქ მარტო ინტელექტუალური შესაძლებლობების მაღალი დონე კი იყო. მათთვის ჩვეული მხატვრული ნომრებითაც გააოცეს მასპინძლებმა სტუმრები. სტუმართა შორის გახლდათ გურიის ყოფილი გუბერნატორის რამაზ ნიკოლაიშვილის შვილი გურამ ნიკოლაიშვილი მეგობრებთან ერთად. **გურამმა ნათია ხელაძეს, მამისგან დანაპირები, ნოუთბუქი გადასცა საჩუქრად, გუნდის კაპიტნებს სპეციალური თასები, მონაწილეებს კი წიგნები დაურიგა.** მონაწილეებს გადაეცა ასევე შესაბამისი დიპლომები. ბოლოს კი მიშიკო კვირკველიამ დამატებითი ნომრით წარმოადგინა აჭარული „განდაგანა“, რომელსაც მეგობრებმაც აუბეს მხარი.

გიგლა ლომჯარიას სახელობის რეგიონული საჭადრაკო ტურნირი დამთავრდა



ოზურგეთის საჭადრაკო კლუბი 5 დღეს მასპინძლობდა ოზურგეთელთათვის კარგად ცნობილი საჭადრაკო მოღვაწის, გიგლა ლომჯარიას სახელობის VII საჭადრაკო ტურნირს.

ამჟამად შეჯიბრებაში სამივე რაიონის 16 მოჭადრაკე მონაწილეობდა. მ.შ. გურიის გასული წლის პრიზიორები და წარმატებული მოჭადრაკეები, რომელთა უმრავლესობა პირადად იცნობდა გიგლას და მასთან მეგობრობდნენ.

ტურნირი გახსნა გურიის ჭადრაკის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ზურაბ ანდღულაძემ. მან გიგლა ლომჯარიას პიროვნებაზე და რეგიონში ჭადრაკის განვითარებაში მის ღვაწლზე ისაუბრა. იგი ერთ-ერთი ინიციატორი იყო რეგიონალური საჭადრაკო ღონისძიებების მოწყობისა, რასაც შემდგომ გურიის ჭადრაკის ფედერაციის დაფუძნება მოჰყვა. იმ დროს, როდესაც ოზურგეთში ჭადრაკისათვის არავის ეცალა, ერთ-ერთი ტურნირი მან საკუთარი ძალებით საკუთარ სახლში გამართა. გულთბილი სიტყვებით გაიხსენეს ბატონი გიგლა მოჭადრაკეებმა ტარიელ ხუხუნაიშვილმა, ნუგზარ გვარჯალაძემ, დავით კილურაძემ, ომარ ბიჭიკაშვილმა და სხვებმა.

საკუთრივ ტურნირი ძალზედ საინტერესოდ წარიმართა. ტურნირის გამარჯვებული 15 შესაძლებლობიდან 14,5 ქულით გურიის ამჟამინდელი ჩემპიონი ლანჩხუთელი ტარიელ ხუხუნაიშვილი გახდა. 12,5 ქულით II ადგილი ასევე ლანჩხუთელმა ნუგზარ გვარჯალაძემ დაიკავა. 11,5 ქულით III ბასილეთის საჯარო სკოლის დირექტორიკარლო ცხომელიძე იყო.

ოზურგეთელთაგან საუკეთესო შედეგი ასკანელ დავით კილურაძეს ჰქონდა. 11 ქულით იგი მეოთხე იყო. V–10,5 ქულით გივი სიამაშვილი, 10-10 ქულით VI-VII ადგილები ანატოლი ტიაშენკომ და აკაკი გოგუამ გაიყვეს.

ჩემპიონატს მსაჯობდა მოყვარული მოჭადრაკე იური დიდმანიძე.

ტურნირის გამარჯვებულს და პრიზიორებს შესაბამისი ხარისხის ჯილდოები გადაეცათ.

მიშიკო ქურიძის მორიგი წარმატება

ქ. ქუთაისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში 12 წლამდე ასაკის მოსწავლეთა შორის. ეს ტურნირი იმავდროულად იყო საქართველოს უმაღლესი ლიგის შესარჩევი ტურნირი, რომელიც ივნისში გაიმართება ქ. თბილისში. მასში მონაწილეობას მიიღებს ამ ტურნირის პირველ ათეულში მოხვედრილი მოჭადრაკეები. მათ შორის 10 წლის ოზურგეთელი მოჭადრაკე მიშიკო ქურიძე ასპარეზობდა. მან VII ადგილი დაიკავა და საქართველოს უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა, (მწვრთნელი ელგუჯა ურუშაძე).

საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატზე

ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1994-96 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის, რომელშიც ოზურგეთის სასპორტო სკოლის მოჭიდავეთა ნაკრებიც მონაწილეობდა.

63 კგ. წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა ძმები ზურაბიანების აღზრდილი გიორგი თოიძე: II სპრიზო ადგილზე 58 კგ. წონით კატეგორიაში ლიხაურის ფილიალის მოჭიდავე გიორგი ჯაფარიძე გამოვიდა (მწვრთნელი ალ. ბოლქვაძე).

III სპრიზო ადგილზე 42, 46, 50, 54, 85 კგ. წონით კატეგორიებში გამოვიდნენ: დათო ჩხარტიშვილი, აკაკი ჩანჩიბაძე, გიორგი ხუჭუა, თემურ კვაჭაძე, გიორგი მდინარაძე (მწვრთნელები ძმები ზურაბიანები, ანზორ ლომაძე, ალ. ბოლქვაძე, გურამ მაჭარაშვილი).

დაკომპლექტდა საქართველოს ნაკრები, სადაც ოზურგეთელი მოჭიდავეებიც არიან შეყვანილნი. 5 აპილიდან ნაკრების წევრები დუშეთში გაივლიან სასწავლო-სამწვრთნელო შეკრებას. ნაკრები ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატისათვის მოემზადება, რომელიც პოლონეთსა და თურქეთში გაიმართება.

„მერცხალმა“ 3 ქულა მოიპოვა

„მერცხალი“ (ოზურგეთი)–„იმერეთი“ (ხონი) 2:0 (0:0)

„მერცხალი:“ გოგუა, ტუღუში, რამიშვილი (ბაჯელიძე), ხამაშურიძე, ს.ვ. ჩიგოგიძე, ვ.ტუტოიანი, ქობულაძე, აფრიდონიძე (ათუაშვილი), ჩხაიძე, გ.ს. ჩიგოგიძე, ხინთიბიძე.

„იმერეთი:“ მეძველია(კახეთელიძე), თელია, ბრეგაძე, ჯანელიძე, ხაბურძანია, ლოლუა, გოდერიძე (მეტონიძე), ჩხარტიშვილი, კირკიტაძე, ჩხეტიანი, ასათიანი (კუხალაშვილი)

„მერცხალმა“ ბოლო სამ ტურში 5 ქულა მოიპოვა და სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა.

გასულ ტურში ლანჩხუთში გურულების დერბი გაიმართა. როგორც ყოველთვის, ამჟამადაც დაძაბული მატჩი იყო. „მერცხალის“ თავდამსხმელმა ნიკოლოზ ხინთიბიძემ მე-60 წუთზე გაუტანა მასპინძლებს ბურთი და შეხვედრის ძირითადი დრო ამ ანგარიშით დამთავრდა, მაგრამ როგორც მარტვილის „მერანთან“ შეხვედრაში, მსაჯმა აქაც 5 წუთი დაამატა. ლანჩხუთელებმა, შეხვედრის 96-ე წუთზე საეჭვო გოლი გაუტანეს ოზურგეთლებს და შეხვედრა ფრედ 1:1 დაამთავრეს.

რაც შეეხება 8 აპრილს ხონელებთან შეხვედრას, ეს მატჩი კორექტურად ჩატარდა, რაშიც დამსახურება ორთავე გუნდის ფეხბურთელებს და მთავარ მსაჯს, სამტრედიელ თემურ ხუჭუას მიუძღვის.

ოზურგეთლები უკეთ თამაშობდნენ და ძირითად სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ, თუმცა პირველ ტაიმში მათ გოლის გატანა ვერ შეძლეს.

ამ მატჩში ოზურგეთლებმა ორჯერ მოარტყეს ბურთი კარის ძელს. 56-ე წუთზე ნიკოლოზ ხინთიბიძემ პირველი გოლი გაიტანა, ხოლო 69-ე წუთზე ლაშა ჩხაიძემ კარგად შენიშნა კარგ პოზიციაში მყოფი მიხეილ ქობულაძე, ზუსტი პასი მიაწოდა და ამ უკანასკნელმა მეორე გოლი გაიტანა იმერლების კარში. 2:0 გაიმარჯვა „მერცხალმა.“

გათამაშების ცხრილი

გუნდი	თ	მ	ფ	წ	გგ	მგ	ქ
გაგრა	25	18	5	2	59	15	59
მერანი (მარტ)	25	16	7	2	46	11	55
გორი	25	14	8	3	45	20	50
ჩიხურა	24	15	4	5	43	20	49
დინამო (ბთ)	24	13	7	4	50	12	46
კოლხეთი (ხობ)	23	10	9	4	25	18	39
გურია	25	11	3	11	43	48	36
მერცხალი	24	7	6	11	36	52	27
ჩხერიმელა	24	6	9	9	29	38	27
სამგურალი	24	7	5	12	29	47	26
იმერეთი	24	7	2	15	23	35	23
ლოკომოტივი	24	6	5	13	25	38	23
ჭიათურა	24	6	5	13	22	53	23
ნორჩი დინამოელი	23	7	1	15	27	50	22
მეშახტე	22	6	4	12	26	36	22
სქური	24	6	4	14	22	40	22
ადელი	24	6	2	16	26	43	20

ბავშვთა საკალათბურთო ლიგის პირველობაზე

ქ. თბილისში ჩატარდა ბავშვთა საკალათბურთო ლიგის პირველი წრის თამაშები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. ოზურგეთის სასპორტო სკოლის კალათბურთელთა გუნდი ამ ჩემპიონატში 1995-96 წლებში დაბადებულთა შორის ჩაება.

ჯგუფში 9 გუნდი ასპარეზობდა. ოზურგეთლებმა თბილისის ორი, ტყიბულის გუნდები დაამარცხეს, ერთი შეხვედრა თბილისის „ზაზასთან“ დათმეს, ჯგუფში II ადგილი დაიკავეს და პირველი წრე გადალახეს.

ოზურგეთელთა გუნდის ღირსებას იცავდნენ: თორნიკე გოლიაძე, ერეკლე მიქატაძე, ზურაბ შანიძე, ირაკლი ქუტიძე, ვასო ბარამიძე, დათა ხარატიშვილი, ლევან კვასტიანი, ოლეგ გუჯაბიძე, ჯონი ბაქანიძე, გიორგი ვასაძე, თაზო ვაშალომიძე, გიორგი ბაქანიძე.

გუნდი აზა მჟავანაძემ მოამზადა.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ავთანდილ მექვაბიშვილს დედის გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 858 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru